



EUROEAST  
CULTURE

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ  
Project is funded by European Union

REGIONAL CO-OPERATION  
**RCCHD**  
FOR CULTURAL HERITAGE DEVELOPMENT

აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამა  
Eastern Partnership Culture Programme

მანანა სურამელაშვილი  
არქიტექტურის ისტორიკოსი

# თელავის რეაბილიტაციის შედეგების ანალიზი



ICOMOS Georgia  
ICOMOS საქართველო

2012

## თელავის რეაბილიტაციის შედეგების ანალიზი

ბოლო წლებში საქართველოში წამოწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოების განსაკუთრებული დაჩქარებისა და არეალის გაფართოების ეტაპზე, 2011 წლის მიწურულს, საქმიანობა გაიშალა ქალაქ თელავში, რომელიც ურბანული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს.

კახეთის ამ ყველაზე დიდ და გამორჩეული ისტორიული როლის მქონე ქალაქს (თბილისიდან 158 კმ ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზღ. დ. 500–800მ), რომელიც თბილისთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელ მეფეთა რეზიდენციას წარმოადგენდა, საუცხოო მდებარეობა და ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებული ქალაქგეგმარებითი სტრუქტურა ახასიათებს.

თელავის განაშენიანება ცივ-გომბორის ქედის კალთასა და აღმოსავლეთ-დასავლეთის გრძივ ღერძზე განაწილებულ ოთხ ძირითად ბორცვზეა შეფენილი, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მარაოსავით იშლება და შორს ალაზნის ველს და კავკასიონის ქედს გასცქერის. ოთხ ბორცვზე შემორჩენილია ქალაქის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში აგებული ციხე-გალავნები: „ძველი გალავანი“ და „ბატონის ციხე“, რომელიც გამაგრებულ სამეფო რეზიდენციებს წარმოადგენდა და ადგილობრივ ფეოდალთა – ყორჩიბაშიშვილების და ვახვახიშვილების ციხე-დარბაზის ნაშთები. ხუროთმოძღვრულ კომპლექსებში ჩართულია ეკლესიები (მათ შორის ყველაზე ადრეული V-VI სს-ის დვთაების ეკლესია) და სხვადასხვა ფუნქციის ისტორიული ნაგებობები. თელავის ციხე-გალავნების ერთობლიობა გვიანი შუა საუკუნეების ქალაქის სათავდაცვო სისტემის თავისებურებას წარმოაჩენს. ამ კომპლექსებმა ერთგვარად განსაზღვრა ქალაქის განაშენიანება: ძველი ურბანული ქსოვილი ტრადიციული საცხოვრებელი სახლებით და ზღუდეშემოვლებული კარმიდამოებით ძირითადად, სწორედ ამ ბორცვების სიახლოვეს არის კონცენტრირებული. მას ზემოთ და ქვემოთ ფართო ზოლად მიყვება ფერდობს შეფენილი, თავისებურებით გამორჩეული შთამბეჭდავი განაშენიანება.

ქალაქის ისტორიული ნაწილი უმთავრესად XIX ს-ში ჩამოყალიბებული ურბანული ქსოვილისგან შედგება, რომელშიც გვიანი შუა საუკუნეების სარდაფები, ცალკეული სადგომები და სამშენებლო ფენების შემცველი უფრო ადრეული სახლები, ზღუდეები და კარიბჭეებია ჩართული. ყოველი ურბანული ერთეული მკაფიოდ გამოსატულ ინდივიდუალურ ნიშნებს ატარებს.

კედლის წყობის ტრადიციულ ხერხებსა და ფასადების დეკორატიული გაფორმების მრავალფეროვნებას ადგილობრივი მშენებლების, ხით, თუ ქვითხუროების მაღალი ოსტატობით შესრულებული ნახელავი წარმოაჩენს, რაც მკაფიო თვითმყოფადობას ანიჭებს ქალაქს.

თელავურ საცხოვრებელ სახლებს სივრცით-გეგმარებითი კომპოზიციის მრავალფეროვნების მიუხედავად დამახასიათებელი არქიტექტურული ფორმები და დამუშავების ტრადიციული ხერხები აერთიანებს. ქვედა სართული ხშირად ლეკალური აგურით ნაშენი მძლავრი დორიული კოლონებით და მათ შორის არსებული არქიტრავეული ღიადებით, ან ფართომძალიანი თაღებით არის გახსნილი, რასაც ზედა სართულში ხის ბალიასინებით, ან აუქურულორნამენტიანი მოაჯირებითა და ფრიზული, ხანაც თაღოვანი „ფარდებით“ გახსნილი ხის სვეტებიანი აივნები მოსდევს. ამ აივნებს დეკორატიული მოტივების სიუხვე და დახვეწილი შესრულება ახასიათებს.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა სახლების დამაგვირგვინებელი ფრონტონების დამუშავებაც, „თევზიფხური“ წყობით ამოყვანილ სიბრტყეებს საფეხუროვანი კარნიზები კრავს და ზედ დეკორატიული ფრონტონები, წრიული სარკმლები და სხვა მოტივებია გამოყვანილი. ზოგ შემთხვევაში ეს ფრონტონები და დეკორატიული ელემენტები ნალესობით არის დაფარული, რითაც არანაკლებ გამომსახველი კომპოზიციები იქმნება. სახლების შელესილი ფასადების გაფორმებაში გამოყენებულია მაღალი ოსტატობით გამოყვანილი კარ-ფანჯრის არქივოლტები, სანდრიკები, საჭექი ქვები და სხვა მოტივები. ნალეს ელემენტებს ხის აუქურული ორნამენტების მსგავსად სახეთა მრავალფეროვნება და ადგილობრივ ოსტატთა ინდივიდუალური ხელწერის ნიუანსები გამოარჩევს. ეს მხარე თელავის ურბანული მემკვიდრეობის განუმეორებელ ფასეულობას წარმოადგენს, რაც მისი დაცვისა და შენარჩუნების განსაკუთრებულ საჭიროებას უსვამს ხაზს, ეს კი მათი მოვლა-პატრონობისას განსაკუთრებით ფრთხილი და მოზომილი მიდგომების გამოყენების აუცილებლობას განაპირობებს. და ბოლოს, თელავის ისტორიულ განაშენიანებას ვიზუალურად ამთლიანებს და ცხოველხატულობას მატებს ღარიანი კრამიტის გადახურვები.

სამწუხაროდ, ქალაქის რეაბილიტირებულ ნაწილში ავთენტური მხატვრულ-ისტორიული ფასეულობები და მასთან ერთად თელავის ურბანული მემკვიდრეობის ზემოაღნიშნული დამახასიათებელი მხარეები, რაც მას საქართველოს ყველა სხვა ქალაქისგან გამორჩეულს ხდიდა, მთლიანად დაიკარგა.

თელავის რეაბილიტაციის დაწყებიდან დაახლოებით ერთ წელიწადში ქალაქის სხვადასხვა ნაწილში მდებარე ცალკეულ შენობებთან ერთად, სამუშაოები დასრულდა თელავის ისტორიული განაშენიანების გრძივად გადამკვეთ აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე გამავალ – ქ. ჩოლოყაშვილის და ერეკლე II-ს ქუჩების გასწვრივ მდებარე ნაგებობებზე და ერეკლე II-ს მოედანზე. ეს ხაზი ქალაქის განსხვავებული ფუნქციის უბნებს კვეთავს, რომელიც ქ. ჩოლოყაშვილის ქუჩის არეში მოიცავს სხვადასხვა პერიოდის ტრადიციული თელავური სახლებისგან შემდგარ ძველ საცხოვრებელ უბანს, ერეკლე II-ს გამზირის ფარგლებში – ადმინისტრაციული, სავაჭრო, თუ კულტურული დაწესებულებებისგან შემდგარ ცენტრს, სადაც განლაგებულია სხვადასხვა ევროპული სტილის და საბჭოთა არქიტექტურის ნიმუშები, ხოლო ერეკლე II-ს მოედნის მიდამოებში სრულდება „ბატონის ციხის“ ხუროთმოძღვრული კომპლექსით, სადაც გვიანი შუა საუკუნეების ნაგებობებთან ერთად განთავსებული იყო XIX ს-ის და XX ს-ის დასაწყისის ძეგლები.

იმ დროისთვის, როცა იწყებოდა თელავის ურბანული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, არსებობდა 2005 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის მასალა – არქიტექტურული ძეგლების ბარათები, 2006 წ-ის სექტემბერში გადამოწმების შედეგად დაზუსტებული ქ. თელავის არქიტექტურულ ძეგლთა სია (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წ-ის 23 თებერვლის №3/46 ბრძანებით დადგენილი ძეგლთა სიის განახლებული ვერსია) და ამავე 2006 წელს დამუშავებული ქ. თელავის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები, რომელიც გაურკვეველი მიზეზების გამო დღემდე არ დამტკიცებულა.

არსებული რეალობის გათვალისწინებით, სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში თელავის ურბანულ ძეგლებთან დაკავშირებული საკითხები განხილული უნდა ყოფილიყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს გაურკვეველი რგოლის სამუშაო სხდომაზე, ე.წ. ურბანულ საბჭოზე, ხოლო ბატონის ციხის კომპლექსში შემავალ ძეგლებთან დაკავშირებული საკითხები – ამავე სააგენტოს სამეცნიერო-მეთოდურ საკონსულტაციო საბჭოზე; რაც შეეხება თელავის ურბანული ძეგლების დაცვის არეალში მოქცეულ უსტატუსო ნაგებობებს, მათზე ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ საკითხების შეთანხმება უნდა მომხდარიყო კულტურისა და ძეგლთა

დაცვის სამინისტროს ურბანულ საბჭოსთან. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად შესაბამისი საკითხების შეთანხმება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ურბანულ საბჭოსთან არ ხდებოდა; ბატონის ციხის კომპლექსში შემავალ ძეგლებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა არ შემდგარა სააგენტოს სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოზე, ხოლო იყო თუ არა განხილული თელავის ურბანულ ძეგლებთან დაკავშირებული საკითხები სააგენტოს ურბანული საბჭოზე, ამის შესახებ ინფორმაციის მოპოვება არ მოხერხდა.

რაც შეეხება ძეგლებზე წარმოებულ ფიზიკურ სამუშაოებს, მისი ჩატარების საფუძველი და მეთოდის განმსაზღვრელი უნდა გამხდარიყო წინასაპროექტო კვლევა და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი, რომელშიც კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (თავი IX, მუხლი 49) უნდა მოიცავდეს 21 პუნქტისგან შემდგარ, საკმაოდ ტევად დოკუმენტაციას (გრაფიკულ, ტექსტურ და ფოტომასალას; კროკებს და გამოსახულ ნახაზებს, საარქივო და არსებული მდგომარეობის ამსახველ ფოტოებს; სახელოვნებათმცოდნეო, საინჟინერო-გეოლოგიურ კვლევას, პროექტის დასაბუთებას, კონსტრუქტორის დასკვნას, სამშენებლო მასალების ბიოქიმიურ კვლევას, სამუშაო პროექტს და ა. შ.), რომლის მომზადება, უდიდესი შემართებისა და მოწადინების შემთხვევაშიც პრაქტიკულად შეუძლებელია ისეთ უმოკლეს დროში, რომელიც დაეთმო ათეულობით ნაგებობის რეაბილიტაციას, პარალელურად ქვეყნის სხვა პუნქტებში მრავალ ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებისა, იმ მცირე პროფესიული რესურსებით, რომელიც ჩართული იყო აღნიშნულ პროცესში.